საქართველო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:№97. 9726295001
თარიღი:22/10/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომა (მორიგი) N-18

დ. ლენტეხი. 15 ოქტომბერი. 2026წ.

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ხუტა მუკბანიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მორიგ სხდომას ესწრება საკრებულოს 20(ოცი) წევრი და საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს 3(სამი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანი, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი მელანო ქურასბედიანი და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N -28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

   /მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების: ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY261CC და ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY246CC საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე;**

   /მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

3. **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

   /მომხს: პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის

სამსახურის უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანი/

4. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების 9(ცხრა) თვის ანგარიში.

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი აქურასბედიანმა:

მერიიდან დამატებით შემოვიდა საკითხი - სოფლის პროგრამებში ცვლილების შეტანის თაობაზე. აუცილებლობიდან გამომდინარე საკითხი უნდა დავამატოთ დღის წესრიგში.

დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოთქმულა.

სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N -28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების: ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY261CC და ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY246CC საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე;**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი/

3. **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

/მომხს: პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანი/

4. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე გასვიანი/

5. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების 9(ცხრა) თვის ანგარიში.**

/მომხს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

6. **,, 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 8 მაისის N-გ-97.97261281 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

/მომხს: მერიის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილე დემური ლიპარტელიანი/

1. **მოისმინეს:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N -28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულებით გამოიყო თანხები, რომელიც უნდა აისახოს ბიუჯეტში. ამავე დროს მთავრობის ადმინისტრაციიდან იყო შენიშვნები სოციალური დახმარების გაცემის წესთან დაკავშირებით. პერსონალური ასისტენტის პროგრამა რაც დაემატაა სოციალური დახმარების გაცემის წესს, ბიუჯეტის მუხლებში არ იყო ასახული შესაბამისი თანხები. შენიშვნები გათალისწინებული იქნა და ბიუჯეტში ასახულია ეს თანხები.

შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

მომხრე -20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის N -28 დადგენილებაში.

2. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა ბაჩუკი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების: ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY261CC და ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY246CC საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ტრანსპორტი არის ამორტიზირებული, გამოსაყენებლად უვარგისი და უმჯობესია გაიყიდოს.**

აზრი გამოთქვა: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა - აღნიშნული საკითხი განვიხილეთ კომისიის სხდომაზე და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მიეცეს თანხმობა მერს - აღნიშნული მოძრავი ქონება შეტანილი იქნას საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში.

საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს წინადადებაზე საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეიტანოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება : ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY261CC და ავტობუსი BOGDANA სახ. ნომრით YY246CC

3. მოისმინეს: პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მ/შ ირაკლი ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო **მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.**

კითხვა დასვა: ფრაქცია ,,ხალხის ძალას" თავმჯდომარის მოადგილემ დალი ტვილდიანმა - რამდენი პროცენტია ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება?

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 45%-ს.

კითხვა დასვა ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით ფურელიანმა:

გვაინტერესებს რა ხდება ბაღის შენობასთან დაკავშირებით და რა მოლოდინი გვაქვს მომავალში.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი გაურკვეველია და არ გვაქვს ზუსტი

პასუხი.

სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა დასვა კითხვა - იყო მოლოდინი, რომ დაიწყებოდა ბაგა-ბაღის მშენებლობა ჟასუნდერის, რცხმელურის და ჩოლურის თემებში. თუ არის ამ საკითხთან დაკავშირებით სიახლე?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე არ აქვს ინფორმაცია.

შეკითხვები დასვა სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა:

1. გასულ წელს მოხდა წყლის სისტემის დაქსელვა თეკალში და 8 ოჯახი ვერ მოხვდა ამ პროექტში. ამ რვა ოჯახმა შემოიტანა განცხადება მერიაში, იყო დაპირება, რომ ივნისის თვეში იქნებოდა ეს საკითხი მოგვარებული, მაგრამ დღესაც არ არის მოგვარებული. პასუხად დავით ფურელიანმა აღნიშნა, რომ მას აქვს შესაბამისი ოდენობის წყლის მილები და გადასცემს ამ ოჯახებს.

2. ხუტა მუკბანიანმა ასევე ყურადღება გაამახვილა სოფ. თეკალში მრავალფუნქციური სახლის მოწყობაზე, რომელიც წელს არ გაკეთდა.

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს პროექტი დაიდო ტენდერზე, მაგრამ არავინ არ მიიღო მონაწილეობა.

   კითხვა დასვა სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა: დაბაში ბაგა-ბაღის შენობის საკითხზე არ უნდა მივწეროთ მუნიციპალური განვითარების ფონდს?

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იყო წერილი გაგზავნილი მუნიც. განვითარების ფონდთან და ველოდებით პასუხს.

   აზრი გამოთქვა: ფრაქცია,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ მურმან ტვილდიანმა - რცხმელურის ხიდზე ხელშეკრულება გაფორმებული იყო შ.პ.ს კობიაშვილთან, რომელსაც აქვს დაკისრებული ჯარიმები, აქვს დარღვევები ლაღარვაშის სკვერის შემთხვევაშიც. მაინტერესებს რატომ არ არის ეს შ.პ.ს გაშავებული და რატომ არის სხვადასხვა პროექტებში.

   პასუხად დემურის ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ამ შ.პ.ს-ს დავა აქვს სასამართლოში და ელოდება შედეგს.

   კითხვების ამოწურვის შემდეგ აზრი გამოთქვა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ მევლუდ ლიპარტელიანმა - სამსახურის უფროსმა წარმოგვიდგინა ანგარიში სრულყოფილად და წინადადება შემომაქვს ანგარიში შეფასდეს დადებითად.

სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით;

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად იქნეს შეფასებული მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9(ცხრა) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

4. **მოისმინეს:** საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ თორხიკე გასვიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - **„ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შედის 47-ე მუხლის პირველ პუნქტში. კერძოდ; **მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში და დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,1. საკრებულოს მორიგი სხდომა, მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. როგორც წესი, ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს. (თუ ხუთშაბათი არასამუშაო დღეა მაშინ მომდევნო სამუშაო დღეს). საკრებულოს მორიგი სხდომა, თუ არ იცვლება მისი თარიღი და ჩატარების ადგილი, არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას.”

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -20

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - - ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს წარუდგინა **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების 9(ცხრა) თვის ანგარიში.**

მომხსენებელს დაუსვეს შეკითხვები.

კითხვა დასვა სხდომის თავმჯდომარემ ხუტა მუკბანიანმა

1. გრანტების ნაწილში რატომ არის მაღალმთიანი ღონისძიებების შესრულების მაჩვენებელი 0 - ?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მაღალმთიან ღონისძიებებში შედის კვიცკრაში მჟავე წყლის ტერიტორიის კეთილმოწყობა და ხოფურის მჟავე წყლის კეთილმოწყობა. სამუშაოები დაწყებულია და ეს მაჩვენებელი გაიზრდება.

2. მშენებლობის ნებართვებზე ჩარიცხულია თანხები და რატომ არის შესრულება -0.

მომხსენებელმა პასუხად აღნიშნა, რომ ჩარიცხვა ზუსტად შესაბამის კოდზე არ არის განხორციელებული, შესაბამისად შესრულება არ ჩანს.

3. აცდენა არის საფინანსო სამსახურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებულ მაჩვენებლებს შორის. კერძოდ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელსეკრულებები გაფორმებულია 60%-ზე, მაგრამ ფულის ათვისება არის 36%.

კითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ანგარიშის დადებითად შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ დემური ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,, 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 8 მაისის N-გ-97.97261281 განკარგულებასი ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ცვლილება შედის დანართში, კერძოდ ჩოლურის ტერიტორიულ ერთეულში სოფ. საყდარში გათვალისწინებული პროექტი შეიცვლება მთა ლაშავარდანის მიმართულებით სამეურნეო გზის რეაბილიტაციით.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 20

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება ,, 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 8 მაისის N-გ-97.97261281 განკარგულებაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, დღის 13 საათზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი